



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბანკარბულება №21

აბაშა, 2019 წლის 18 მარტი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “დ.გ” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის №63 განკარგულებით განსაზღვრული აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. მარანში რკინიგზის გასწვრივ, საჯარო სკოლის გავლით, შიდასამომოსვლო გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობის სამუშაოების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 814204 ლარს დღგ-ის გათვალისწინებით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: სენაკი, რუსთაველის ქ. 247)
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანი